ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:
12 თვით . . 10 მ. — კ.
11 „ . . 9 „ 50 „
10 „ . . 8 „ 75 „
9 „ . . 8 „ — „
8 „ . . 7 „ 25 „
7 „ . . 6 „ 50 „
6 „ . . 6 „ — „
5 „ . . 5 „ 50 „
4 „ . . 4 „ 75 „
3 „ . . 3 „ 50 „
2 „ . . 2 „ 75 „
1 „ . . 1 „ 50 „

ივერია

№ 173 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 173

წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა
1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.
ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ მკათათვედამ წლის დამლევამდე ჰეირს . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვედამ წლის დამლევამდე . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰეირს:
ერთელ მკათათვედამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვედამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ ყოველ-დღ ლია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნებაში:—პეტრე მ. ბავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ბანჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

ბოლნისში:—ანტონ ასარაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіи“.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. ბედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკუნიაზესკის ქუჩა, (Набережная) სახლი ბობამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ბ. ფოფინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულებით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალაბაჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. ბ. ბოსინი. ქალის., საპბ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტაქიშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **ბ. ქ. ბოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

ბრ. ბ. ფოლოლეფსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჩხლებ ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიოლოგიური ტელეფონი.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროტით.
46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

ქართველი ექიმნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ყორდანიის ქუჩ, № 16, სკკუთარი სახლი. საღამოს —6-7 საათამდე.

ბაქელიშვილი კონსტანტინე ბელისაბედის ქუჩ. სახლი მიღოვისა. № 5

ბაბაშვილი ბრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩ, № 19.

ვაშაძე სპირიდონ. ბეტერბურგის ქუჩ საკუთარი სახლი.

ბარიან ნიკოლოზის ასული ზალიშვილისა, მიხეიდის ბრაუსვეტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეიდის ბრაუსვეტი, სახლი დოდუხანოვის, № 123.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნაბანარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ბულვის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ა. ბ. ბიძოლიანი. 9 საათიდან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ბ. ბ. ავადბისიანები. 11—12 საათამდე—ყანსა, და ვენერიულ ბირუგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბაქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანები. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. ოლლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ს ი თ:

ნ. ნ. როსტომაბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ბ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაქარიანა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არეკანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს ანალიზი და მსურველთ მასასვლა, ჟეურის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბაქელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова. (წ.)

ომის ამბები

დეკეშები და წერილები.

სად უნდა იყოს დიდი ომიო—გენერალ კუროპატკინის მხრუნველობა.—ბაიკალის ტბა.—ჟ�მები და სათნოიანი დები.—წერილი ცხოველი.—ომის სურათი.

რუსის მანჯურიის ლაშქარი ამ ჟამად შეკრებილია ლიაოიანსა და მის მიდამოებში. თვით სარდალიც ამ ლაშქრისა გენერალი კუროპატკინი ლიაოიანშია. როგორც დეპეშამ გვაუწყა, გენერალ კუროპატკინს გადაწყვეტილი აქვს აქ, ლიაოიანთან, მდინარე ტანხეს ნაპირებზე დაუხვდეს იაპონის მოზღვავებულ ჯარს და შეებრძოლოს. სამხრეთიდგან მოდიან გენერლების ოქუსა და ნოძუს ლაშქრები, აღმოსავლეთადკენ გენერალ კუროკის ლაშქარი. რუსის ლაშქარი ერთს დროს უნდა შეებრძოლოს იაპონელების სამთავე ლაშქარს, რადგან, თუ სამხრეთისკენ დაიწია რუსის ლაშქარმა, გენერალი კუროკი ზურგიდგან მოუვლის და, თუ მთლიდან გენერალ კუროკის შეებრძოლა, მაშინ რუსის ჯარს, აღმოსავლეთისკენ გაწეულს, ოქუ და ნოძუ გზას გადუკრავენ.

ლიაოიანს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ომში. ის კლიტეა მუკდენისა და გასაღებად ინკოუ არის მინჩეული. ლიაოიანიდგან მინდორი ვაკე იწყობა და, თუ მტერმა უკანასკნელი მაღლობები დაიპირა, შემდეგ წინ აღარა დაუდგება-რა. ვიდრე ლიაოიანი რუსების ხელთ არის, იმათ შეუძლიანთ მდინარე ტაისიხეს ორთავე ნაპირი დაიპირონ და ჩრდილოეთისკენ მტერი არ შეუშვან. ეს ერთად ერთი დიდი მდინარეა, რომელზედაც გადასვლა იაპონელებს გაუპირველთამ, თუ რუსის ჯარიც წინ ეყოლებათ დარაჯად. ხოლო, თუ ამ მდინარეს გადასცლნენ, მაშინ მუკდენამდე ბუნებრივი დაბრკოლება აღარ გადეღობებათ, გარდა მდინარე ხუნხესი, რომელსაც ვაკე ნაირები აკრავს.

თვით მუკდენი გამაგრებული არ არის. ამიტომ რუსების იმედი ლიაოიანია, რომელსაც, დიდი ხანია, დიდის მეცადინეობით ამაგრებდნენ. ციხის არტილერიაც მხოლოდ მუკდენში არის. ლიაოიანის მტოლეგებნი შეუძლებელი იმიტომაც, რომ იქ თავმოყრილი ლაშქარს ძალიან გაუძნელდება მდინარე ტიეხეზე გადასვლა და იარაღბარგის გადაზიდვა, მეტადრე მაშინ, როდესაც მტერი თავს წასდგომია.

ამიტომ დიდი ომი ლიაოიანთან აუცილებელია და რუსებისათვის სასურველიც უნდა იყოს.

—

რუსის ჯარის სარდალმა გენერალმა კუროპატკინმა კარგად იცის, რომ ომის დროს ისე ტყვია არა ჰხოცავს და ანწყუდებს ჯარის კაცებს, როგორც ავადმყოფობა. ამიტომ, თუმცა ძალიან საჭიროა, რომ რუსეთიდგან ჯარი მალე მიეშველოს და რკინის გზა სააუთრად ამისათვის უნდა იყოს დაბანდებული, მაგრამ სარდალი სასანტარო და საბრგო მატარებლებს უფრო აშუბებს, რომ დროით დამაზადონ სუსსათი, სანოვაგე და ყოველივე, რაც ავადმყოფების მოსაცდელად არის საჭირო. ყოველი ღონისძიება მიიღო, რომ ჯარს ხორცი და ჭური არ მოაკლდეს. თუ რომ სადმე ჯარის კაცებს საშველ-სასმელი შემოაკლდა, დაწაშაულობა უფროსებს ეღება, რადგან თავის დროზედ განკარგულება არ მოუხდენიათ. სარდალი არა ცხარობს, ხმასაც კი არ ამაღლებს, მაგრამ, თუ გაიგო, ჯარს საჭიროი არა ჰონდეთ, ძალიანა სწყინს. ამ შემთხვევაში არაფის დაჰზოგავს: ზოგს უფროსს საჯაროდ საყვედურს გამოუცხადებს და ზოგს გადაიყენებს კიდეც. როდესაც სარდალი მიეშველება სადმე, სადაც კი ჯარი დაჰხვდება, შარა გზა და ბინდორიც რომ იყოს, უფუფად შეჭერდება, სადილის ნიმუშს მოითხოვს და სალდათის საქმლის გემოს გაიღებს. რადგან ეს მოთხოვნილება სარდლისა ყველამ კარგად იცის, უფროსები სცდილობენ სალდათებს არა მოაკლონ რა. ჯარი რომ მიდის, უკან საკლავ საქონელს მიერეკებიან, ტომარა-ხურჯინებით დატვირთულს. საქონელი კი თავის ფეხით მისდევეს, მაგრამ პური კი ადვილი საზიდი და საშოვნელი არ არის, მეტადრე ზვიმანიაღელვარში, როდესაც ურემი დღეში შვიდ ვერსზედ მეტს ვერ დადის და პური სველდებოდა და ობდებოდა. მაშინ სალდათებისთვის ლავაშებს აცხობდნენ, ან ჩინელებისგან ხმიადსა ჰყიდულობდნენ. (რ. ინ.).

—

ნიუ-ჯუანს იაპონელები დაეპატრონენ და თავის ბანკიც დააარსეს. უცხოელები, რომელთაც ქალაქი მიატოვეს, კვალად დაბრუნდნენ. (რ. ვ.).

—

ბაიკალის ტბაზე, რადგან გარმოსახვევი გზა ჯერ არ დასრულებულა, ყინულის მეტრელ გემს «ბაიკალს» გადაჰყავს ჯარი. გემის სიგრძეზე გადებულია სამი რკინის გზის ლინდაგი და ერთობაშად 27 ვაგონს აყენებენ, თავის ორთქლ-მავალით, ასე 2,000 კაცი ბარგით ადვილად ეტევა. მგზავრები კი გემს «ანგარას» გადაჰყავს, რომელიც ჯარის გადაყვანასაც ჰშველის, ეს გემები საათში 20 ვერსს დადიან. მხედრობა კი ხმელეთით გარს უვლის ტბას იმ განზრახვით, რომ რკინის გზით მოქანცული ცხენები ავარჯიშონ. (მ. ვ.)

—

კრონშტადტის ფართო ნავსადგური სალამორობით კარგი სანახავია თურმე. შორიდგან უზარმაზარი ჯავშნოსნები მოჩანს. ერთ-ერთი გემი მოშორებით დარაჯობს. ნავსადგურში წინ და უკან დაცურავენ ნადმოსნები და ნავგემები. გემები ერთმანეთს რადაცას ანიშნებენ ფერადფერადის ფარნებით. ხანდისხან ჯავშნოსნების პროჟექტორები ანათებენ არე-მარეს, ხმელეთს და რადგენსაც ვერსის მანძილზე სხეითა კონას აქეთ-იქით აფრქვევენ, თითქო რადასაც დაეძებენო. ხან ყველა ჯავშნოსნები ერთად ანათებენ და მაშინ მცირე ნავიც კი ვერსად დაიმალება. ყოველ ნახევარ საათის შემდეგ მინის წკრიალი ისმის აქეთ-იქიდგან,—ეს გემების საათებია. სხვა და სხვა ჰანგზე სტვენა ხომ თითქმის განუწყვეტელია. დიდძალი ხალხი იკრიბება ნავსადგურთან და ამ სანახაობით ერთობა. (რ. ს.).

—

ლონდონის გაზეთებსა სწერენ, რუსებს დიდი სამზადისი აქვთ ჩრდილო-კორეიაშო.

სეულიდგანაც ესეთ ამბავს ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს. რუსებს ჩრდილო-კორეიაში ტელეგრაფი გაჰყავთ და ურმის გზა სიგანით 20 ფუტი. ყოველ დღე 500 კორეველი მუშაობს. აზიერთებულმა მდინარე ტუმენმა ხიდები წაიღო და რუსებმა ახალი გასდესო. იაპონელები იმ მხარეს სრულიად ყურადღებას არ აქცევენო (რ. ვ.).

—

მარტო ჯარის კაცებს არ მოეთხოვებათ თავგანწირულობა ომის დროს. ექიმებიცა და სათნოების დანიც არა ერთხელ მოჰყვებიან სახიფათო ადგილს; ბევრჯერ იმათაც დაადგება გაჭირება. ინ რას გვიმბობს «ტ—ბ.» გაზეთის კორესპონდენტი ეფანგოფს ომის შესახებ.

ბრძოლის შემდეგ მტერი ისე მოგვავხლოვდა, რომ ყუმბარები თავს ეკვლებოდა დაჭრილებს, რომლებსაც სათნოების დები ეკლიდნენ, ან ზოგი ყუმბარა იქვე ახლო ეცემოდა და სკდებოდა. დაჭრილები აღელვდნენ, ხოლო სათნოების დები შაშს არ იმჩნევდნენ და წყნარად უხვევდნენ ჭრილობას, ან არა და სასმელსა და საქმეოს აწოდებდნენ, თითქო სამშვიდობოში იყვნენ. როდესაც ჯარი უკან დაიძრა, სათნოების დებმა თავისი ეტლები დაჭრილებს დაუთმეს, თავისი წამოსასხამები გადააფარეს და თითონ მსუბუქ ტუფლებითა და საპარაკით პერანგებით თან მისდევდნენ წვიმა-ავდარში და ტალახ-წუმბეში. ესე სტუპავდნენ ნიაღვარსა და ნაკადულ-მდინარეებში.

ექიმებიც ფეხით მიდიოდნენ თავის პერანგებით და დაჭრილების ეტლებსაც შველოდნენ, როდესაც აღმართი ან ტალახ-ჭაობი დაუხვდებოდათ.

ერთს ადგილს ნიაღვარს მოჰყვნენ, რომელმაც ეტლები მოიტაცა ცხენებითა და დაჭრილებით. მზიდავ-სალდათებმა თავი გამოიდეს და 50 დაჭრილამდე სიკვდილს გადაარჩინეს. შემდეგ ეტლების გამოთრევასაც მიჰყვეს ხელი. ამბობენ, ხუთმა მზიდავ სალდათმა ჯიღდოდ გიორგის ჯვარი მიიღოვო და დანარჩენებიც სხვა ჯიღდოებზე არიან წარდგენილნი.

—

ომის სურათი.

11 ივლისს, ხაიჩენთან, ჩვენ თვითონ გამოვიწვიეთ ჩვენი მოპირდაპირე საბრძოლველადაო,—ამბობს ვ. ნემიროვიტ-დანჩენკო.—დილის 5 საათზე ჩვენ მაღლობიდგან ყუმბარა-ყუმბარაზე გავუგზავნეთ მტერს. მაღლობებზედეე მზვერავები იდგნენ, რომლებიც თვისებს უჩვენებდნენ, საით და რა სიშორეზედ არის მტერი, რომ ზარბაზანი სწორედ დაუმიზნონ. ისინი გაფაციცებით ათვალიერებდნენ მტერს, თვალს არ აშორებდნენ, ჩასაცქერიდნენ ხეობას, მინდვრებს, ქალებსა და ბაღებს, რომლითაც უხვად არის შემკული ეს ფშავნეიერესი მხარე, წყნარ და ზრომის მოყვარე ერის საკეთილ ღღეოდ გაჩენილი. ეს—სწორედ ჩვენი საქართველოა, ხოლო კოკასიონის ფაარ-მაზარი და მუდამ დათოვლილი მთები-კი აკლია.

ერთს მაღლობზე შეეინაშნე, რომ ჩვენი არტილერია მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, პირველად სჯობნის იპონიისას. ჩვენს ქვემოდ, თოთხმეტ-ნახევარ საათის გაჩამავლობაში, ჩვენი მსწრაფელ-მსროლელები გრიალებდნენ და აქეთ-იქიდგან ბანი ეძლეოდათ.

საშინელი ბრძოლა იყო... მზე სწვავს, კლდეები ლაპლაპებენ, ცხელი ჰაერი გულს გვიწუხებს, მაგრამ არაკვის ჩვენგანს ფიქრადაც არ მოსვლია ჩრდილი მოეძებნა და მიყუდრობულიყო. გარშემო რალაც წარმოუდგენელი, სტიქიონის ძალა მოქმედობდა. მთელი ქედები ზანზარებდნენ და ირყეოდნენ თავის კლდის საძირკველზედ; მთელი ხეობა თავის უთვალავ სოფლებით, მინდორ-ბაღებით დრტინავა და ათას-კეკად გადაჯვარედინებულ ცეცხლის ისრების ქვეშ; ზედ დაჰგრიალებდნენ და დაზუზუნებდნენ ყუმბარები, სკდებოდნენ იფანტებოდნენ და ყველაფერს ანადგურებდნენ. ერთსა და იმავე დროს ათსა და ას ადგილს მოწყვეტილ ცაზედ ბოლი-ღრუბელი ჩნდებოდა, ელვა-სავით მოლაპლაპე და გრგვინვა-ქუხილით მეხის მსროელელი. სადაც-კი ყუმბარა დაეცემოდა, დედამიწა ირღვევოდა და ამოხეთქდა ცეცხლს, ქვას, კორიანტელს ლიდდიტისაგან ყვითელს და მელინიტისგან მუქ ნაცრის ფერს, რაც ყველაფერს მუსრავდა, გარშემო იფანტებოდა, მალა ცაში ჰქრებოდა...

შუადღისას მტრის ორმა ბატარეამ ხმა ჩაწყვეტა. დურბინდში მოჩანდა, ჯარის კაცები რომ აქეთ-იქით გარბოდნენ. საღამოს მესამე ბატარეაც ჩაუჩუმდათ. მზის ჩასვლისას ყუმბარები გამოელიათ...

ჩვენ დაგვიჭრეს არტილერიის გენერალი შიშკოვსკი და ბატარეისა—პამენკო. ჩვენს წინ და მარჯვენა მხარეს ცოტა დაგვიზიანდა, ხოლო მარცხენა ფრთას კი

სიცხე დაადგა. იქ რამდენიმე ბატალიონი ხელის-ხელ იბრძოდა. დღეს თავი ისახელეს ბარნაულელებმა და ტომსკელებმა. ტომსკის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი უსპენსკი დაიჭრა. ბარნაულელებს თავის ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ და შტიკის ბრძოლისა არ შეშინებიათ. იაპონელები სიმღერითა და «ნიპონ ბანზაის» ძახილით მოდიოდნენ. მოპირდაპირენი გაშმაგებულად დაერივნენ ერთმანერთს. იაპონელები ჩვენებზედ მეტი იყო. ბარნაულელები შედრკნენ და შეირყნენ, მაგრამ მეორე ბატალიონნი დაეხმარა და ერთად მტერი გაიძევეს, თან თოფი დააყოლეს. მაღლობზე მდგარს ტომსკის პოლკის ბატალიონს შუადღისას ყუმბარების ზვავი დაატყდა. მოღლილნელად მაღალ გიოლინიდგან (ყანა) იაპონნელნი 15 როტა გამოვარტა და ტომსკის პოლკს დაეკა. ჩვენებმა ძალა-უნებურად უკან დაიწიეს და ოთხი დაჭრილი დასტოვეს, რომლებსაც მტრის მხეცრობა რეკოლექერებით ბოლო მოუღეს. 15 როტამ მსრავლ მაღლობი დაიჭირა, მაგრამ ახლა ჩვენმა არტილერიამ დაუშინა ყუმბარები და უკუ-აქცია. მაღლობი ისევ ტომსკელებმა დაიჭირეს. ჩვენები ეხლა ცოტა წყნარად და მწყობრად ადიოდნენ, მაგრამ დაბლა ხეობაში-კი გამოუთქვეფი ტანჯვა-ვაება იყო; სადაც ჩვენი მკვდრები და დაჭრილები ეყარნენ. ჩვენ ენახეთ სამი მოკედნი დახოცილ მეომრებით მოფენილი. ჰაერი მოშხამული იყო ღიდღეტითა და მელინტითი, სული გვეხუთებოდა. ზოგს პირტებინება დაწყებინა და ზოგს გული უწუხდებოდა (რ. ს.).

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

*** 24 ივლისს მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეექსარხოსი ალექსი, ზედაზნის მონასტერიდგან წაბრძანდა სოფ. წ-ნამღვდარიანთ ჯარს და ინახულა იქაური სამეურნეო სკოლა. ახლად ნაკურთხ სკოლის ეკლესიაში დაუხვდა შემოსილი მღვდელი, ამავე სკოლის საღმრთო-სჯულის მასწავლებელი, მამა ალექსანდრე ჯალიაშვილი, რომელმაც მისს მეუფეს სიტყვით მიმართა და შემდგე შარაკოლისი გარდახიხდა, ეკლესიაში გალობდნენ მოსწავლენი ქართულ-რუსულად. ეკლესია და სკოლის მოწყობილობა ექსარხოსმა ძალიან მოიწონა და მ. ალ. ჯალიაშვილს მადლობა გადაუხადა. მისმა მეუფემამ შემდეგ ინახულა დაწვრილებით ყველა კლასები სკოლისა, დარბაზი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, დათვალიერა სასწავლო ნივთები, სახელოსნო, მარანი, მოწყობილნი სადგომი და სკოლის ფერმა. აქ მოწყობენ გამოსცადა და თავისის კითხვებით დაგვარწმუნა, რომ ყოველად სმღვდელო ალექსანდრეა სამეურნეო და ბუნების სწავლა-მეცნიერებით. ბოლოს მისმა მეუფემამ სკოლის წიგნში ჩასწერა შემდეგი:

«24 ივლისი. 1904 წ.; სიამოვნებით ვიხილე მე პირველად სამეურნეო სასწავლებელი და ყველა იმისი განყოფილებანი, დიდად სასარგებლო მკვიდრ მოსწავლეთათვის, სადაც ისინი ადიზრდებიან და შეისწავლიან სწავლა მეცნიერებს ყველის მხრით,—მეცნიერულად და ვარჯიშობით. მიხარიან, რომ ამ შესანიშნავს სასწავლებელში, არამც თუ დავიწყებული არის წმ. ტაძარი ღვთისა, არამედ აქ ეკლესიას აქვს უპირატესი გავლენა მოზარდ მშრომელ მოსწავლეებზედ. აკურთხოს უფალმან მადლითა თვისითა დამაარსებელი-ბრუნველი ამა სკოლისა, მასწავლებელ-აღმზრდელნი მოწაფეთა და იმათი შრომა. კეთილ-მსვლელობა მისცეს სადიდებლად ღვთისა და საკეთილოდ და სასარგებლად ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა.

არქიეპისკოპოსი ალექსი, ეექსარხოსი საქართველოისა».

*** როგორც მოქალაქეთა გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, 1902 წელს ტფილისში სცხოვრობდა 16,000 კომლი ისეთ მოქალაქეთა წოდებისა, რომელნიც იხდიდნენ ხარჯებს; თითო ოჯახს, საშუალო რიცხვით, 2½ სული ჰყოლია, რომელთაც შესძლებიათ ხარჯის გაწევა, ასე რომ, ამ გამოამგარიშებით, მოქალაქეთა გამგეობას უნდა შემოსვლოდა წელიწადში 40,000 მან. როგორც მოქალაქეთა გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, ხსენებულ გამგეობას არამც თუ 40,000 მან., არამედ ამის ნახევარიც კი არ შემოსდის. მოქალაქეების რწმუნებულთა ვრცანმამ ამის გამო დადგინა, ყველა ოჯახისათვის თითო მანათი გადაიხდევინონინათ ამ წლის დამდეგამდე გამგეობის სხვა და სხვა ხარჯთა დასაფარავად. ეს დადგენილება წარუდგინეს დასამტკიცებლად, გუბერნატორს, რომელმაც უკვე დამტკიცა და ამასთანავე აცნობა მოქალაქეთა გამგეობას, რომ მომავალს წლის ხარჯთ-აღრიცხვა უსათუოდ 15 დეკემბრამდე წარმომიდგენეთო.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა უმთავრესმა სამკურნალო გამგეობამ გუშინ-წინ აცნობა ტფ. გუბერნატორს, რომ, როგორც ხსენებულ სამინისტროსთან არსებულ უმთავრეს საკურნალო გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, აფთიაქებსა და საოფთიაქო მაღაზიებში დღემდე იღებდნენ ისეთ შეგირდებს, რომელთაც მათდა შესახებ გამოცემულ ბრძანებაში შესაფერი სწავლა არა ჰქონდათ მიღებული და საზოგადოდ წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნენი იყვნენო, რადგანაც ამნაირ შეგირდებს ხშირად ბასუხ-საგები საქმის ასრულება უნდებთ, როგორც, მაგალითად, წამლების მომზადება, ამიტომ ხსენებული სამკურნალო გამგეობა სთხოვს ტფ. გუბერნატორს, განაკარგულება მოახდინოს და წინადადება მისცეს აფთიაქის პატრონთა, რომ ამას შემდეგ ადარ მიიღონ ასე წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნენი აფთიაქის შეგირდებად და, თუ ვინმე ამ განკარგულებას დაარღვევს, ბასუხის გებაში იქმნას მიცემულია.

*** ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მისწერა ხარეის დუქნების გამგე-კომისიის თავმჯდომარე ა. ბ. ევანგულოვს,—შეიტყე, რომ ქალაქის დუქნების გამგეს, ბეითალს კანცელარიაზს სამსახურისათვის თავი დაუნებებია და თქვენ მისს ადგილას მოგიწვევთო ბექ-ავაქოვი, რომელიც უკვე შესდგომია საკანონლის ყიდვასაო. შემდეგ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი სწერს ევანგულოვს,—დაუყონებლივ გაიაქმეთ თქვენი განკარგულება, რადგანაც ქალაქის გამგეობის დაუკითხავად არც კანცელარიის დათხოვნისა და არც ბექ-ავაქოვის მოწვევის ნება არა გაქვთო.

*** ახალქალაქის მაზრის უფროსი ატკოიბინეს ტფ. გუბერნატორს, რომ ბარაღლეთის საბოქაულოში, სოფ. ბავრასა და კარტიკამში, 13 ივლისს მოსულმა სეტყვამ გაანადგურა 277 დესეტინა მიწაო. ზარალი 3170 მანეთამდეა.

*** პოლიციის დეპარტამენტმა 9 ივნისს გამოსცა ცირკულარი (№3015) გუბერნატორების სახელზედ, რომელითაც ადარძალულია ერთიზელ ნახმარ ბანქოს ხმარება საკრებულოებსა და კლუბებში.

*** ახალქალაქის მაზრაში, 15-დგან 22 ივლისამდე საქონლის პირი გასჩენია სოფ. ხერთვისში 149 სულს და სოფ. კოროზში—756 სულს.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. კაბალოში ბავშვებს ყვავილი გასჩენია. უკვე იქმნა მიღებული საჭირო ღონისძიებანი ამ სენის საწინააღმდეგოდ.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. კაკაბეთში 8-დგან 16 ივლისამდე საქონლის პირი გასჩენია 1975 სულს, აქედგან 8 სული კიდევ მომკვდარა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში არსებები ქართველ ქალთა საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება დახმარება გაუწიოს ქართველ დედებს ბავშვთა რაციონალურად აღზრდის საქმეში, გაკმარეთოს ბავშვთათვის სასადილოები, გამოსცეს საკმაწვლო კარგის შინაარსის წიგნები და სხვ.

*** დ. ხონელიგან (ქუთაისის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ გასულ ვვარსს ადგილობრივ სამეთხეველოს სასარგებლოდ, ქუთათურ მსახიობის დახმარებით, ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში წარმოდგენა გაუმართავთ, მაგრამ «ისე კირისაგან წვინდდ იყავითო, —გვწერს კორესპონდენტი,—როგორც წარმოდგენა ხალხისაგან გაწყენდნილი იყოო». ყველა თურმე ამას გაიძახოდა, «წარმოდგენა რად გვინდა, ცირეში უფრო კარგ თვალსიერს ვნახავთო» და ყველა იქით მიეშურებოდა. კოსტანდის ცირეს დიდძალი საზოგადოება აწყდება ყოველ დღე.

*** კახეთიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ზოგიერთ ადგილებში ვახს გასჩენია რაღაც მწვანე კია, რომელიც თურმე შედის ზიგ მარგალლი და ახმობს მტევნებს. საკვირაოა, ამ გარემობას დაუფიქრებლივ ყურადღება მიაქციოს, ვისაც ჯერ არს.

*** ამას წინად გარდაიცვალა რუსულ ეროვნულიანურ სცენის ცნობილი მსახიობი ე. მ. რახმიოვი. ყველას ეგონა, რომ რახმიოვი ნამდვილი გვარი იყო განსვენებულ მსახიობისა, ყველას ნამდვილი რუსი ეგონა, მაგრამ რეგორც ბ-ნი ვ. დოროშევიჩი გაზ. «Рус. Слово»-ში სწერს, რახმიოვი ფსევდომინი ყოფილა განსვენებულ მსახიობისა; ნამდვილად განსვენებული ქართველი ყოფილა, გვარად კანაზარიძე.

*** ხონის საოსტატო სემინარია წელს გაათავა 7 კაცმა. ესენი ყველანი ქართველნი არიან: 1) ი. გაჩეჩილაძე, 2) ვ. კოკეზარიძე. 3) შ. ოთასელიანი, 4) ვ. მოსეშვილი, 5) ი. ფარაკვანა, 6) მ. რატიანი და 7) ვ. რუხაძე.

*** პოლიციის მე-9 ნაწილის ბიკაული სთხოვს ქალაქის გაკეკლობას, რომ შეაკეთოს და შეჰღებოს თავისი დაწესებულებანი მე-9 ნაწილში. ქალაქის გამგეობამ ამაზედ უპასუხა ბიკაულს, რომელ კანონის ძალით გვავალებთ მაგ მოთხოვნილებათა შესრულებასაო.

*** ტფ. პოლიციმეისტერმა აცნობა ტფ. გუბერნატორსა, რომ ბელგიის ცხენის რაინის გზის საზოგადოება არავითარს ყურადღებას არ აქცევს ქალაქის ხურთოთმოძღვრის ბ-ნ მარქაროვის მიერ ნაჩვენებ წესებს მდ. მტკვარზედ სანიტარულ მდგომარეობის შესახებაო.

*** ახალციხის მაზრის კიდინსკის სოფლის საზოგადოებაშიაც გაჩენილა საქონლის პირი; ღონისძიება უკვე იქმნა მიღებული ამ სენთან საბრძოლველად.

*** ამ წლის დეკემბერში სამსახურის ვადა უთავდებათ ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულთ და დეკემბერშივე მოჰხდება რწმუმებულთა ახალი არჩევნები. მოქალაქეთა გამგეობას უკვე შეუმუშავებია რწმუნებულთა არჩევნების ახალი წესი-კიგი.

*** ახალდიხის მაზრის უფროსი 22 იგლისიდგან სამსახურს დაეთხოვა ერთის თვის ვადით და კერძო ჭკვდა, ხოლო თავის თანამდებობის აღსრულება მიანდო მის თანაშაწყნ კაბატანს ბალბასოვს.

*** თელავის სამაზრო სტუსდღიმი 16 ივლისამდე ეოფილა სულ 82 კაცი დაბტიმრებული.

*** დუშეთის მაზრის უფროსი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან შესასვენებლად 28 დღით.

*** დუშეთის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ დუშეთის ცხენიდგან ბაიქა ტუსალი მიხეილ ჩალიდრაშვილი. რამდენსაშე დღის შემდეგ, მიხეილ ჩალიდრაშვილის კვალისთვის მიუგზავნეთ და უკვე დაუბტიმრებია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲐᲕ-ᲙᲐᲖᲘ.

(წერილი სამეგრელოდგან).

დ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ სამეგრელოს დაწინაურებული კუთხეა. აქაურ მკვიდრთ შეუგნიათ თანამედროვე ცხოვრების აზრი, პატრიარქალურ ცხოვრებისათვის ხელი უშვიათ და თავიანთი ცხოვრება თანამედროვე ყალიბზედ ჩამოუსხავთ: კოხტად, ლამაზად დამართული საკაპრო დუქნები, მშვენიერად შეკაზმული ოდები მოწყობს დაბ. ზუგდიდის ნივთიერად ამაღლებას. დაბ. ზუგდიდი—ამავე სახელის მთელის მაზრის ადმინისტრაციის ცენტრია.

სწავლა-განათლების მხრივ ზიგდიდი არ არის მაინც და მაინც თვალ-საჩინო კუთხე სამეგრელოსი. აქ არსებობს მოლოდ ორი სასწავლებელი, ვაჟების სამოქალაქო სკოლა და ქალების ორ-კლასიანი სასწავლებელი. მორჩა და გათავდა!

ზუგდიდს უხვად შეჰხვედროთ კაკარდოსნებს, ინტელიგენტის სახელის მატარებელ ცილიდრონსებს, მაგრამ ამ განათლებულთ არავითარი ვონიერული ფაწესებულება არ ამაღიათ! დღეს, როდესაც ყველა განათლებაზედ ოცნებობს, ყველა თვით-განვითარებას ეტანება, ყველა იმის ცდაშია, რომ თავის სოფელს რაიმე წარმატება მისცეს, ბეჩავ ხალხს გონიერული საზრდო მიაწოდოს, დაარსონ საქართველოში, საკვირაო სკოლები, სახალხო საკითხაკები, საზოგადო სახლები, ამ დროს დ. ზუგდიდში ძალიან ცოტა ყურადღება აქვს ზეჩამოთვლილ ხალხს მოკეთე დაწესებულებათა დაარსებისაათვის—ამ უძველეს ადგილ ადგილ ეკლესიებში, ნივთიერად დაქვეთებულ იმერეთის პროვინციებში მოდებულია ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. ნუ თუ დ. ზუგდიდი, ეს სამეგრელოს განათლებული ცენტრი, დღემდე არ გამხდარა ღირსი ერთის სამკითხველოსი?! —დროა, დრო ზუგდიდელებმა დაიარსონ ერთი სამკითხველო!—როგორც შევიტყეთ, სამკითხველოს დაარსება უკისრია აფთიქის პროვინზორს ვანო აბაშიძეს. იმედია, თავის კეთილს განძრახვას განხორციელებაში მოყვანს.

ზუგდიდში, შედარებით სხვა დაბებთან, ძალიან ყოტა ტურნალ-გაზეთები მოდის. შევედი ზუგდიდის ფოსტაში და, ჩემდა სამწუხაროდ, ფოსტის მაგიდაზედ ძალიან ცოტა გაზეთები დაინახე. ნუ თუ მრავალ რიცხვთან ზუგდიდის მკვიდრი ქართველებს ასი ქართული გაზეთი არ უნდა მოსდიოდეთ?

ზუგდიდელებისათვის წარმოდგენები ციურ მანასაკით სანატრელი გამხდარა. ყოველ სოფლებში ზაფხულოობით ორი-სამი ქართული წარმოდგენა მაინც იმართება, ზუგდიდში კი არც ერთი ღარიბ დაბაში საზაფხულო თეატრები შენდება, წარმოდგენების მმართველი კომიტეტები არსდება. აქ, შემლებელ დაბაში არაფერი არ მოყვეთ ვბათ. რაოდენსმე ზუგდიდელს ვკითხე: «ჩვენ გამოჩენილ მსახიობთ ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძეს, კ. ყიფიანს, ვ. გუნიას უთამაშიათ როდისმე ზუგდიდში თუ არა-თქო?!» იმათ გაკვირვებთ მოიმგეს: «ვინ მესხიშვილი, ვინ აბაშიძე და რის თამაშია?!» ერთი სიტყვით, ეს ნივთიერად დაწინაურებული დაბა ჯერ ბუნესთია მოცული. ვისურვებთ, ჩვენ მოამეე ზუგდიდელებს წყვდიადი გაეფანტოთ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲒᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ Დ. ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ.

(საკუთ. კორესპონდენტისაგან).

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ უცხო ენების საფუძვლიანად შესწავლის საქმეს ევროპაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ამ უკანასკნელ ოცეადა ხუთის წლის განმავლობაში. მრავალ-ფეროვან ევროპის გართულებულ ცხოვრებამ, სხვა და სხვა უცხო სახელმწიფოების ურთიერთ შორის დამოკიდებულებამ უსაპირობეს საგნათ გახადა სახელმწიფოების მკვიდრთა ენის შესწავლაც. პედაგოგებმა კარგად შეიგნეს ამ საჭიროების დიდი მნიშვნელობა და ამიტომაც დაუყოვნებლივ შეუდგნენ ისეთის მეთოდის გამოძებნას, რომელის საშუალებითაც უცხო ენების შესწავლა გაეადვილებინათ, უფრო ხელ-მისაწვდენი გაეხადათ. პედაგოგის კორიფეები აქამომდე უცხო ენების შესასწავლად ერთად ერთ ბუნებრივ, ერთად ერთ ნორმალურ მეთოდათ თვრმნობს მეთოდს სთვლიდენ. ამ პედაგოგების მოსაზრებით უცხო ენების შესწავლა შესაძლოა მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით, სამშობლო ენა უმძლავრესი საძირკველია უცხო ენების მეიდრო და საფუძვლიან შენობის ასაგებლად.

დიაღ, ყველა საღი გონების მეტრნი ჰეადაგოგი, ყველა საქმის ეეშმარიტად მოსიყვარულენი წინათაც ასე აზროვნებდენ და დღესაც ამ აზრას ომბრენი არიან. გარნა ვინაკ სკოლის ზღუდეთა შორის პოლიტიკის მოშუაშეულ თვსლის განოყიერების ცდაშია, ვინც სწავლის საქმეში სპეკულატიერით მოსაზრებით წარამარა აფათურებს ხელებს, იგი, რასაკვირველია, წინააღმდეგი იქმნება ეგრედ წოდებულ თარგმნითის მეთოდისა.

თარგმნითის მეთოდის წინააღმდეგ მრავალი პედაგოგი ამხედრდა და მათ შორის თვალსაჩინო ეკურადღება მიიქცია მთელს ევროპაში ამერიკელმა პედაგოგმა ბერლიცმა. ამ პედაგოგის აზრით, უცხო ენების უფრო ადვილად და საფუძვლიან შესასწავლად სრულებით საჭირო არაა სამშობლო ენა. თარგმნითი მეთოდი სამშობლო ენის საშუალებით მეტად აფერხებს და აძნელებს უცხო ენების შესწავლას. ბ-ნ ბერლიცის აზრით, უცხო ენების შესწავლის საქმე პრაქტიკულ ნაადგზე უნდა იყოს დამყარებული, სწავლება თვით იმ ენაზედ უნდა სწარმოებდეს, რომელ უცხო ენის შესწავლაც გწადია, სწავლების დროს სამშობლო ენაზე ერთ სიტყვასაც ადგილ არ უნდა ჰქონდეს დათმობილი.

ამ აზრის მიხედვით ბ-ნ ბერლიცმა შეადგინა სათანადო სახელმძღვანელო უცხო ახალ ენების შესასწავლად და 1878 წელს თავის მოსაზრების ეეშმარიტად განსახორციელებლად სკოლაც კი გამართა ამერიკაში.

ახლად დაარსებულმა სკოლამ დიდი ყურადღება მიიქცია არა მარტო ამერიკაში, თვით ევროპაშიაც კი. ამის გამო ბ-ნ ბერლიცმა თავის მეთოდს უფრო დიდი და ფართო ასპარეზი მოუპოვა. თითქმის ყველა თვალსაჩინო ქალაქებში ევროპასა და ამერიკაში ბ-ნმა ბერლიცმა გახსნა თავისი ახლად დაარსებული სკოლის განყოფილებანი, საცა სწავლება სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ბერლიცის მეთოდის საშუალებით.

სხვა ქალაქთა შორის, რასაკვირველია, ბერლინშიაცა ბერლიცის სკოლა, ერთი თვით ბერლინში, ხოლო მეორე კი შარლოტენბურგში.

ჩვენ ამ პატარა წერილში სრულიადაც აზრად არა გვაქვს კრიტიკულად განვიხილოთ ბ-ნ ბერლიცის მეთოდი, რადგან ეს ერთი რომ ძიელ შორს წაგვიყვანდა და მეორე ეს მეთოდი ბევრად არაფრით არ განსხვავდება ცნობილ მეტოდისტ ლეეიცის «ზეჯიერ» მეტოდისა» განრ, რომლის შესახებ არა ერთი საგულისხმიერო წერილი დაუსტამბავთ ჩვენს პედაგოგებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენი აზრია მხოლოდ მოკლეთ გავაცნოთ მკითხველს ბერლინში არსებულ ბერლიცის სკოლის ორგანიზაცია, რომლის გათვალისწინება, ეფექრობთ, რამდენადმე მაინც ნათელს მოჰფენს თვით მეთოდის ღირსება-ნაკლოვანებასაც.

ბერლიცის თვითოეულ სკოლას განაგებს, ეგრედ წოდებული დირექტორი, რომლის სრული უფლებაა ხსა და სხვა ენების მასწავლებლების მოწვევა. მასწავლებლობის მიღება ამ სკოლაში შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე სამაგალითო გაკვეთილების მიცემის შემდეგ.

სწავლა იწყება, რასაკვირველია, გარდა უქმეებისა, დილის რვა საათზე და თავდება საღამოს ათს საათზე. სკოლაში სწავლის მსურველს უფლება აქვს უფასოდ მოისმინოს ერთი სამაგალითო გაკვეთილი, რომლის შემდეგ, თუ გაკვეთილი მოგეწონა, შეგიძლია ჩაეწერო სკოლის მოსწავლედ. სწავლის ფასი საათობითაა გადაწყვეტილი, მხოლოდ სწავლის მსურველს შეუძლია აიღოს არა ნაკლებ თხუთმეტის გაკვეთილისა. სწავლა შესძლოა მარტოდ და გრუპპაშიაც, მხოლოდ თვითოეული გრუპპა რვა კაცს არ აღემატება. სწავლის ფასი ესეთია:

	მარტოთი	2 მოსწ.	3 მ-წ.	4 მ-წ.	5 მ-წ.
60 გაკვთ.	150 მარკა	100 მ.	80 მ.	75 მ.	60 მ.
30 ,,	82 ,,	55 ,,	45 ,,	40 ,,	35 ,,
15 ,,	45 ,,	30 ,,	25 ,,	22 ,,	18 ,,

თვითოეული მოსწავლე იმის მიხედვით, რამდენ გაკვეთილის მოსმენა სურს, ყიდულობს სკოლის დირექციის ბიუროში ბილეთებს სათანადო რიცხვს და თვითოეულ ბილეთს აძლევს მასწავლებელს გაკვეთილის დაწყების წინეთ. მთელი ბერლიცის კურსის შეთვისება შესაძლოა თხუთმეტ გაკვეთილის საშუალებით, მხოლოდ ვისაც ჭსურს უფრო მეტი ვარჯიშობა, უფრო მეტი პრაქტიკა შეიძინოს, იგი უფრო მეტს გაკვეთილებს ისმენს.

სწავლა სკოლაში ზამთარ-ზაფხულს სწარმოებს. სკოლაში ასწავლიან გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს, იტალიურს, ისპანურს, რუსულს და შვედურს. გარდა დირექტორისა თხუთმეტი მასწავლებელია, მათ შორის ხუთ-ხუთი მასწავლებელი ინგლისურ და ფრანგულ ენებისაა.

მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის დირექციის ცნობების მიხედვით 500 არ აღემატება წლის განმავლობაში. ასაკისა, სქესისა და პროფესიის მიხედვით, მოსწავლეთა რაოდენობა მეტად ერთფეროვანია. ბავშვების 8—15 წლისა თითქმის ი'ბიათია. სამს მეოთხედს მოსწავლეთა მთელს კონტინგენტისას ქალები შეადგენენ. სამი მეოთხედი მთელ მოსწავლეთა რაოდენობისა სხვა-და-სხვა საკაპრო დაწესებულებათა მოსამსახურენი არიან, რომელთათვის განსაკუთრებით ფრანგულისა, გერმანულ

ტოთ და მის ნაცვლად ზუგდიდის მიდამოები ნათელით გაბრწყინვებინოთ.

ალექსანდრე პატარაძე.

—

დ. **ბოლნი**. არა იშვიათად ხდება ხონის ბაზარში «სამშენი სამპირონი», მაგრამ ვინ არის ისეთი ადამიანი, რომ მოსპოს ეს გმირობა ხონის ბაზარში? ერთ სამაკიტნოში მეტად საგმირო საქმე ჩაიდინეს: —რამდენსმე ძმა ბიუს მოეყარათ თავი და შესდგომოდნენ ქეიფს. კარგა ხანს ექეიფნათ, შემდეგ ერთ ძმა-ბიუთაგანს ამაყად ლაპარაკი დაეწყო მედუქნესთან: «ჩქარა, ტიკები აქ დაგორეო.» მედუქნემ, რასაკვირველია, არ დაუთმო ტ გულ მოსულად უპასუხა: «ვაი შენს პატრონს, ჯერ რომელიც დალიე, იმის ფულიც არ მოგიციაო!» ძმა ბიუ უეცრივ შეეკრა დუქანში დიდის დანით ხელში და საბრალო მედუქნე ხუთ ალაგს მძიმედ დასჭრა. თავის მოკვლაც დაუპირებია, მაგრამ ამ დროს თურმე ბ-რიონ ვაშაკაძე მიეკარდნოლა და დანა ხელიდან გამოუტაცია. საბრალო მედუქნე ცოცხალ-მკვდარი წაიყვანეს ექიმთან.

თუ ასე თავისუფლად ითარეშეს ამ ვაგბატონებმა ხონის ბაზარში, თქვენი მტერი, ყველას ყელებს დაგაკრიან.

ალ. ალაბერიძე.

—

ს. **აკიუბჯა** (კოდორის ნაწილი). ამბობენ, ერთ ქვეყანაში ტირილ-გოდება ბევრი არის, ხოლო გაგონება კი არაო. სწორედ იმ ქვეყნის სენი გადმოგვედო ჩვენ, ბ-ნ მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხნის მუშებს, კოდორშია. საქმე ის გახლავთ, რომ რვა თვე იქნება აქაურმა მედუქნემ ეკგენი თურქიამ, რაღაც ოინებით, მთლად ხელში ჩაიგდო ჩვენი მუშების ბედ-იღბალი, ამ ვაგბატონმა ისე მოაწყო საქმე ქარხნის მპარველთან, რომ ჩვენ ვმუშაობთ, ხოლო ფულის მიღების ორდერი ეძლევა მედუქნე ეკგენი თურქიას; ის იღებს ფულს კანტორაში ჩვენ მაგიერ, ნახარჯს დაიტოვებს და დანარჩენ ფულსაც აღარ გვაძლევს. რად გინდათო თქვენ ფული, ისეც ჩემი დუქნიდან უნდა ხარჯოთ და აქვე დატოვეთო. წინად ჩვენ წიგნაკი გვეძლეოდა მედუქნისაგან და შიგ ვიწერდით ნახარჯს და მერე, ფულის მიღების დროს, ვიხდიდით, მაშინ დარწმუნებულიც ვიყავით, ფულს რაში ვაძლევდით. ხოლო ახლა კი ჩვენ წიგნაკები მოგვისპეს, და რასაც ბ-ნი მედუქნე დაგვიწერს, ის უნდა ვიხადოთ, ხმის ამოუღებლად. ამასაც ავიტანდით, რომ სანოვაგე მაინც ადი და ვარგისი იყოს; ხშირად პურს ცომს აცობობს მედუქნე და, თუ ჩვენგანმა შეჰკადრა, პური არ გიყვარგაო, ეტყვის: სადაც გერჩიოს, იქ წადიო და იყიდეო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბატონი მმართველი ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

ზუზუ.

—

სოფელ **ლეციცხვაში**. (სენაკის მაზრა, მარტვილის საზოგადოება). წინად ამ სოფლის მცხოვრებნი მიღლიმ და ფერფლისა და ინგლისურ ენების ზერე-ქვეყრეკოდნა მაინც მეტად საკიროა. გარდა ვაჭრებისა მოსწავლეთაც რიცხვში აქა-იქ შეჰხვდებით ექიმს, რომლისამე სახელმწიფოს მოხელეს და სულ ძრიელი იშვიათად მასწავლებელს, რომელიც მხოლოდ მეთოდის გასათვალისწინებლად და შესამოწმებლად ისმენს გაკვეთილებს და არა ენის შესასწავლად.

ჩვენის აზრით, მოსწავლეთა რაოდენობის თავის-თავად განაწილება პროფესიის მხრივ ბერლიკის სკოლაში მეტად საგულისხმიერო თვით ბერლიკის მეთოდის ღირსება, ნაკლულოვანების ასწონ-დასწონადაც. სამი მეოთხედი სკოლის მთელის რაოდენობისა, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურენია, რომელთათვის უცხო ენის ზედაპირის ცოდნაა უფრო საჭირო, სანამ ამ ენის უფრო საფუძვლიანად, შეგნებით შესწავლა და შეთვისება. ვაჭარი ხალხი უცხო ენის სისწორის, სიმშვენიერისა და გრამატიკულ ფორმების ავკარგიანობის შეთვისებას როდი დაფძგზს. იგი სრულიად კმაყოფილია, ოღონდაც თავისი აზრი გაგებინოს უცხოელს მუშტარს, ოღონდაც მუშტრის სურვილი გაიგოს. ენის შესწავლა უფრო მეტ სხვა რიმეს მოითხოვს, რომლის პირნათლად დასაკმაყოფილებლად ადგილას იყვნენ დასახლებულნი, მაგრამ განმრავლდნენ, ერთბაშად ცხენის წყლის მახლობლად, ვაკე ადგილას, ჩამოესახლნენ, ამიტომ დაშორდნენ თავიანთ ძველს და პატარა ხის ეკლესიის ოთხი-ხუთი ვერსით. ამ დროს მობრძანდა მარტვილში ნეტარ-ხსენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი; სხვათა შორის, ინახულა ლეციცხვაიეს წმიდის გიორგის ეკლესია და ხალხს უთხრა, ილონდო, ეკლესია საშუალ ადგილას აიშენოთო. ხალხმა გაუგონა, საშუალ ადგილას აიშენეს ქვის ეკლესია. 1896 წ. დიდმა თოვლმა მოეული სახურავი ეკლესიისა ჩაამტვრია. ხალხი იძულებული გახდა ხელახლა შეეკეთებინა. ეკლესია-კი გავიკეთეთ, მაგრამ, საშუნაროდ, არა გვაქვს სკოლა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მამა დავით ოსიძე, რომელმაც ეკლესია გააშენა, შუამდგომლობას აღძრავს, სადაც ჯერ არს, რომ დაარსდეს სამრეველო სკოლა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მრეველოსთვის. იმედია, ვისაც რაიმე დამოკიდებულობა აქვს ამ სოფელთან, შემწეობას აღმოუჩენს მამა ოსიძეს, რომ გაახორციელოს ეს კეთილი საქმე.

თეიმურაზ თოფურია.

—

ს. **კახიანაური** (ქუთაისის მაზრა). აქეთ ივნისში გრილი ამინდები იყო. ჩვენ სოფელში მოდიან ეტლებით და ფეხით საზაფხულოდ. ეტლებით მომგებულ ნაწილად მოდიან ლხინიკო-უქმაძეები და კაცუნა დიაცები, რომლებიც საღმერიის ტყეში ლხინობენ და ...კიდევ კარგი, რომ ტყე შეტყვეული არ არის, თორემ თავს წაიწყვეტდა ამათი მაცქერალი. საღამოობით არღანს და ზურნას გააქეს ბრახუნ-წრიპინი; ესენი ბუდობენ მსურველთათვის ბალახენის ქუჩის განპირა დუქანში; აქ გამოლეწილი ლხინიკო-უქმაძე ეტლით სეირნობის დროს «ვოზდუშნი პოკელენოს» უგზავნის ქუჩაში მოსიარულე ქალებსა.

ამას წინად ს. კახიანაურიდგან ჩემი კორესპოდენცია იყო მოთავსებული «ივერიაში», რომლის დაწერაც ერთ აქაურ ინტელიგენტს მიაწერეს. პატარაობისას «ბაცის» თურმე ეძახოდენ და ამიტომ თითი იმას დაადეს და დაუწყეს დევნა. ერთ აქაურთაგანს დაეგდო ყური გაზეთისათვის, რომელსაც ვიღაც მანდილოსანი თურმე კითხულობდა, მაზეთში ყოფილა ნახსენები იაპონური სიტყვა „ბანზაი“-ეს სიტყვა «ვაშად» გაეგო იმას და კიდევ გაეზიარებინა მეზობლებისათვის: იმ ურწმუნო იაპონიას უთქვია ბანძა (სოფ. სამეგრელოში) ჩემი ძველების სამლოცველოა და იქამდის უნდა მიეიდეო.

პარკის მოსავალი კარგი იყო, მაგალითად ერთმა: მისხლიმა გრენამ საშუალოდ 22—26 გირვანქამდე გამოუხარშელი პარკი მისცა მწარმოებლებს, პარკი ფუთი 12 მანეთად იყიდება, ამან ძრიელ დააღონა მწარმოებლები.

სომინდა ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, თუმცა კი გვალვებმა ოდნავ შეაფერხა. მუშა-ხოროსნელი ძრიელ ძვირობს, მაგალითად მოქირავის ხარჯი 80 კ. მეშუაობს, თავისაზედ—მანეთად.

სწორედ შეუწუხებელია აქაური მკვიდრი ქურდ-ბაცაკებისგან, რომლების ბუდე საღორიის ტყეა. ამას წინად აქაურ მცხოვრებს ბ-ნ გალუსტოს ღამით გაუტეხეს სამზარეულო და წაიღეს, რაც რამ ეგადა, მეორეს—ათამღის ბატი მოპპარეს დღისით. არც მეზავრებს აყრიან ხეირს ეს ეგბატონები. იმედია, ვისიც ჯერ არს, მიაქცევს ყურადღებას ამათ თავგასულობას.

სამი ემაწვილი დაჭკინა ძაღლმა, როგორც ამბობენ ცოფიანი ყოფილა. ზოგი ერთებმა ურჩიეს მშობლებს დაკბენილ ემაწვილების წაყვანა ტფილისში. მაგრამ სიღარიბისა და დაუდგენრობის გამო ჯერ ჯერობით არ წაუყვანიათ. უთხოვნიათ შემწეობა ემაწვილების წასაყვანად, მაგრამ მთავრობას მოუთხოვნია იმ ძაღლის თავი, რომელსაც დაუკბენია, ეს კი შეუძლებელი გახდა. ჯერ ჯერობით დაკბენილებს ცუდი ნიშნები არ ატყვიათ.

ამას წინად მოხდა ქუთაისის ქალაქის თვით-მართველო'ის დარბაზში მოქალაქეთა კრება «სტაროსტის» ამოსარჩევად. უკეი დაიდგა ძველმა მამასახლისმა ბ. არაკავნიძემ და იმისმა მწერალმა ბ. გოგოლაშვილმა. აირჩიეს ისევ ძველი მამასახლისი ბ. არაკავნიძე.

აქეთ მძინვარებს ყვავილი, ავადმყოფს არ ერიდებიან. ამათის ფიქრით, ვისაც სტუმარი არ არის, ყვავილი არ შეეყრება და თუ ვისიმე სტუმარია, ვერსად დაემალებაო.

მაისში ქუთაისის რკინის გზის ლიანდაგზედ რიონში მიმავალმა სახალხო მატარებელმა ფეხები მოამტვრია ამავე სოფელში მცხოვრებს ფილიპე ქათამაძეს, რომელიც მაშინვე წაიყვანეს სამხედრო საავადმყოფოში, სადაც სამი კვირის შემდგომ გარდაიცვალა. საწყალს დარჩა უსახსრო ცოლ-შვილი.

ბიგა.

უცხოეთი

ოსმალეთი. «Local Anzeiger»-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან, რომ სულთანმა სადარბაზოდ მიიღო ამერიკის ელჩი. დარბაზობამ ორ საათს გასტანა. სულთანი შეპპირებია ამერიკის ელჩს, ყურადღებას მიგაქცევ ჩვენს ამერიკის მთავრობისას, რომელიც, ეტვი არაა, ამის შემდეგ აღარ გამოჭეზავნის სამხედრო გემებს ოსმალეთის წყლებშია.

—

საფრანგეთი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 19 ივლისს, ღილით, უსვე აკოდნენ შედეგი 866 არჩევნებისა, რომელიც უმთავრესს სპეკოებში მომხდარა. არჩეულ იქმნენ: 541 რესპუბლიკის მოძრე სამინისტროს დასის წევრი, 189—სამინისტროს მოწინააღმდეგე დასისა და 81 კონსერვატორი. გარდა ამისა, 56 საარჩევნო საბეჭოებში ხელ-ახლად უნდა მოეხდეს ბენჭის ყრა. სამინისტროს დასის წევრთ მოიპოვეს 64 ადგილი, ხოლო დაჯარგეს—26.

ნარკვევი

სომხეთიდან სამწუხარო ხმები ისმის. «ფრანკფ. ე

დღეს მოსულ დეპეშებით ესკადრის უფროსი იტყობინება 13 ივლისს ჩვენს გემებზე, რომელნიც მტერზე ყუმბარების სასროლად გავიდენ,—კრეისერებზე—„ბაიანი“, „ასკოლდი“, „პალადა“ და „ოოვეკი“ და საკანონერო ნავებზე იერიში მიიტანა მტრის „ჩინეინმა“, „ი